



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 103

2019 წლის 18 სექტემბერი
ქ. თბილისი

2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში
გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/5 ბრძანებით დამტკიცებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესი და პირობების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, „2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 29 მაისის N60 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-1 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1217579; 17.09.2019) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს 2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტები თანდართული დანართის შესაბამისად;
2. გამარჯვებული პროექტების ავტორმა დოქტორანტებმა არაუგვიანეს 2019 წლის 25 სექტემბრისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს აქტიური სტატუსის შესახებ ცნობა შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან და ბანკის ანგარიშის ნომერი;
3. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტის ავტორ დოქტორანტთან და შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2019 წლის 27 სექტემბრისა;
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

დანართი

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული

სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

2019 წლის 18 სექტემბრის N 103 ბრძანებით

2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის
გამარჯვებული პროექტები

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
1	PHDF-19-1057	საქართველოს გვიანანტიკური- ადრეული შუასაუკუნეების მოსახლეობის მორფოლოგიური და გენეტიკური პოლიმორფიზმი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	PHDF-19-751	თირიდიდული ჰორმონების არაგენომური მოქმედების შესწავლა ნეირონული უჯრედების სიცოცხლისუნარიანობაზე ჰიპოქსიურ პირობებში.	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	PHDF-19-223	საქართველოს სასოფლო დასახლებების შინამეურნეობების საარსებო წყაროების დივერსიფიკაცია: ადაპტაციის პროცესის თავისებურებები და მდგრადობა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	PHDF-19-159	დიზის სერიის რეგიონული და კონტაქტური მეტამორფიზმი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5	PHDF-19-421	ბორის ნაერთებით დოპირებული ბისმუტის ფუძიანი მაღალტემპერატურული ზეგამტარების საფუძველზე თხელი ფირების შემუშავება	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
6	PHDF-19-218	ნარატივი ყურანში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

7	PHDF-19-049	შუამდინარული შესაქმის მითები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
8	PHDF-19-038	რადიაციის გავლენის შესწავლა CMS-ის წინაღობურ შრიან დეტექტორებზე ეკოლოგიური გაზის ნაზავზე ოპერირებისას LHC-ის მაღალ ლუმინოსიტის განახლებისთვის	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
9	PHDF-19-979	სამხრეთ საქართველოს პლიოცენური ძუძუმწოვრების კომპლექსების ბიოქრონოლოგიური და პალეოეკოლოგიური მნიშვნელობა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
10	PHDF-19-2454	იზომერული, ხუთბირთვიანი, ჰეტეროციკლური პიროლოინდოლოქინოქსალინების სინთეზი და კვლევა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
11	PHDF-19-4077	საჰაერო ხრახნების ეფექტურობის ამაღლება მათი გეომეტრიული ფორმების ოპტიმიზაციის გზით	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
12	PHDF-19-972	ტიტანის, ალუმინისა და სილიციუმის კარბიდო-ბორიდული ფუძის მქონე კომპოზიციური მასალების მიღება და კვლევა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
13	PHDF-19-5569	ოპტიმალური გამოცდილების და დამოკიდებულების ზღვარზე: აქტივობაში ჩართულობის როლი ონლაინ აზარტული თამაშების მიმართ დამოკიდებულების ფორმირებაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
14	PHDF-19-2794	კონტინგენტურობის ფენომენი მართლმადიდებელი ეკლესიისა და მრევლის ყოველდღიურობაში	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
15	PHDF-19-2174	თანამედროვე ვერლიბრის სტრუქტურულ-ნარატოლოგიური კვლევა: ბესიკ ხარანაულისა და ჩარლზ ბუკოვსკის ტექსტების კომპარატივისტული ანალიზი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

16	PHDF-19-216	ხრამის ხეობის არქეოლოგიური კვლევა : ობსიდიანის ტრანსპორტირება ნეოლით-ხალკოლითის ხანაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
17	PHDF-19-7416	ეთნიკური უმცირესობების აკულტურაცია საქართველოში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
18	PHDF-19-3802	პრიმიტიული მრავალწახნაგები და მათ გამოყენება მრავალწახნაგების ტრიანგულაციების კვლევაში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
19	PHDF-19-6294	ჰიგის ვაკუმის დესტაბილიზაცია შავი ხვრელების ჰორიზონტთან	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
20	PHDF-19-3671	გეოპარკის დაგეგმვა და მისი პერსპექტივები კავკასიაში რაჭის რეგიონის მაგალითზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
21	PHDF-19-1524	მდინარე რიონის წყლის რესურსების რაოდენობრივი შეფასება და მართვა (კოლხეთის დაბლობის ფარგლებში)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
22	PHDF-19-2224	მექატრონული სისტემების ეფექტურობის ამადლება „ინდუსტრია-4.0“-ის რეფორმის უზრუნველყოფის მიზნით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
23	PHDF-19-2590	მყარი ნარჩენების ზემოქმედების შეფასება და შედარებითი ანალიზი ნიადაგსა და წყლებზე. (სოფ. არაშენდას და გურჯაანის ნაგავსაყრელის მაგალითზე)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
24	PHDF-19-820	სტანდარტული მოდელის რეალისტური მინიმალური გაფართოება ნეიტრინოს რეალისტური მასებით, რადიაციული ეფექტის გათვალისწინებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

25	PHDF-19-3709	თანამედროვე ქართული ფოლკლორი (ზეპირი ისტორიების მიხედვით)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
26	PHDF-19-600	გონების თეორიის განვითარება აუტიზმის სპექტრის დარღვევის დროს და ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული თერაპიისა და სენსორული ინტეგრაციის პროგრამის ეფექტურობის შედარებითი ანალიზი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
27	PHDF-19-501	თრიალეთის ქედის აღმოსავლეთი ნაწილის პალეოცენ-ქვედაოცენური ნალექების სელიმენტოლოგია და იქნოლოგია	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
28	PHDF-19-356	ერთიან საჰაერო სივრცეში უპილოტო საფრენი აპარატების მართვის მეთოდები ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
29	PHDF-19-1869	ფილიგრანი XIX-XX საუკუნეების ქართულ ლითონმქანდაკებლობაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
30	PHDF-19-057	სექსუალური ძალადობა და პასუხისმგებლობის ატრიბუციის ობიექტი ახალგაზრდების მაგალითზე საქართველოში	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
31	PHDF-19-268	დასავლეთ გარეკახეთის ნახშირწყალბადების დამჭერების გეომეტრიის დადგენა, 2 და 3 განზომილებიანი სტრუქტურული მოდელირებით.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
32	PHDF-19-519	ეფექტური პოსტ-კვანტური კრიპტოგრაფიის სქემის მოდელი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
33	PHDF-19-438	წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელით ცნობილი ასკეტური ძეგლი „სიტყვსგებისათჳს ვნებათაჲსა“ და მისი ექვთიმე ათონელისეული თარგმანი	ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

34	PHDF-19-2646	ანტიგენწარმდგენი უჯრედებსა და ეფექტორული T ლიმფოციტებზე ეპიგენეტიკური მოდიფიკაციის გავლენა პროსტატის სიმსივნის ექსპერიმენტულ მოდელში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
35	PHDF-19-1287	ნიუსრუმი ქართულ ბეჭდურ მედიაში: ურთიერთობა კონვერგენტულ კულტურასა და ონლაინ ახალი ამბების წარმოებას შორის	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
36	PHDF-19-271	"პერესტროიკა" და ვიზუალური ხელოვნება საქართველოში	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
37	PHDF-19-5332	"RIA სისტემის ეფექტურობის შეფასება საჯარო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში"	ააიპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
38	PHDF-19-431	C ჰეპატიტის ვირუსით ინფექციის მიმდინარეობის თავისებურებები და მასზე მოქმედი ფაქტორები ორსულ და ბავშვთა პოპულაციაში საქართველოში	საქართველოს უნივერსიტეტი
39	PHDF-19-1542	საქართველოში დიარეული პაციენტებიდან და ფრინველის ნიმუშებიდან იზოლირებული Campylobacter spp. ანტიმიკრობული რეზისტენტობის მახასიათებლების შესწავლა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
40	PHDF-19-1247	Vδ1 და Vδ2 T უჯრედების ფენოტიპური თავისებურებები, თოლლ-მსგავსი რეცეპტორების ექსპრესია და ფუნქცია ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებულ პირებში.	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
41	PHDF-19-2943	"ქალაქური ტექსტი" ქართულ მოდერნისტურ პროზაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
42	PHDF-19-1975	მიგრაციული პროცესების გავლენა საკრალური სივრცის კონსტრუირებაზე (ქვემო ქართლის ეკომიგრანტთა მაგალითზე)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

43	PHDF-19-321	პროსოციალური ქცევა ეკონომიკაში და სახელმწიფო ინსტიტუტების გავლენა საქართველოს მაგალითზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
44	PHDF-19-2125	ავტოიმუნური სტატუსის შეფასება ჯვარედინად მორეაგირე პანალერგენებით სენსიბილიზირებულ პაციენტებში	შპს. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი
45	PHDF-19-749	საქართველოს მუხნარების ცინიპიდები(Hymenoptera, Cynipidae, Cynipini) და მათ გალებში მცხოვრები სხვა მწერები	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
46	PHDF-19-1113	ირანის ზეგანის ხალხები ლურსმული წყაროების მიხედვით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
47	PHDF-19-3553	COMET ექსპერიმენტის ტრეკული დეტექტორების სისტემა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
48	PHDF-19-4101	პირველადი მაგნიტური ველების ევოლუცია და ანაბექტები	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
49	PHDF-19-4072	უცნობი ოსმალური წყარო ლალა მუსტაფა ფაშას საქართველოში ლაშქრობის შესახებ (1578-1580წწ.)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
50	PHDF-19-4544	სენტიმენტ-ანალიზი ქართულ პოლიტიკურ მეტყველებაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
51	PHDF-19-559	გრუნტის თვისებების გეოფიზიკური ანალიზი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისა და ურბანული დაგეგმარებისათვის	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
52	PHDF-19-2847	შერჩეული ბაზიდიომიცეტების ლიგნინ-დამშლელი ფერმენტების სინთეზის ფიზიოლოგიური რეგულაცია	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

53	PHDF-19-060	ზეგამტარობისა და მაგნეტიზმის კვლევა დაბალგანზომილებიან სისტემებში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
54	PHDF-19-8446	<i>Pseudomonas aeruginosa</i> სპეციფიკური ბაქტერიოფაგების მოლეკულურ- ბიოლოგიური დახასიათება და მათ მიმართ განვითარებული იმუნური პასუხის კვლევა ადამიანის უპითელური უჯრედების in vitro მოდელის გამოყენებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
55	PHDF-19-532	საქართველოში დაცული ზუთხის სახეობების მოლეკულური ტაქსონომია, ფილოგენია, და პოპულაციურ გენეტიკური სტრუქტურა	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
56	PHDF-19-298	ნიადაგში ბუნებრივი რადიონუკლიდების განაწილების კვლევა და რადიაციული საფრთხეების შეფასება იმერეთის რეგიონის მაგალითზე (საქართველო)	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი